

1964

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
ბიბლიოთეკა

საქართველოს
თეატრის
საზოგადოებრივი
ბიბლიოთეკა

4 1964



ს თ ს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
მ ო ნ ბ ე

№ 4 (29)

F-2849

19 თბილისი 64



რედაქტორი—მანო კიკნაძე

პ/მგ. მღვიანი ლილი ლომთათიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,
ნ. გურაბანიძე, ო. ვეაძე, დ. მჭედლოძე,
ბ. ჟღენტო, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

ქართულ საბჭოთა თეატრს უკვე აქვს თავისი დიდი ტრადიცია. ჯერ ნახევარი საუკუნეც არ გასულა, მაგრამ ახალმა ქართულმა თეატრმა უდიდეს წარმატებას მიაღწია. გავიხსენოთ კ. მარჯანაშვილი და ახმეტელი რეჟისურებიდან, ი. გამრეკელი და ბ. ოცხელი მხატვრობიდან. გავიხსენოთ ჭეშმარიტად დიდი აქტიორული ტალანტები, ყველაფერი ეს საბჭოთა საქართველოში წარმოიქმნა.

ამ მაღალ თეატრალურ კულტურას სათანადო შესწავლა უნდა. საჭიროა განზოგადება ყოველივე იმისა, რაც საუკეთესო შექმნილა. საჭიროა მხილება ნაკლოვანებებისა. ეს დიდი მისია უნდა შეასრულოს ჩვენმა კრიტიკამ. ჩვენ გვჭირდება მებრძოლი, პარტიული, პრინციპული კრიტიკა. იგი შკაცრი და სამართლიანი უნდა იყოს. მან გაბედულად უნდა ამხილოს ის რაც ხელს უშლის ახალსა და მზარდს, უნდა დაგმოს ის რაც ხელს უწყობს ცრუნოვატორულსა და ეროვნულ თეატრალურ კულტურისათვის უცხო ტენდენციის წარმოქმნას.

პროფესიული თეატრალური კრიტიკა ახალგაზრდა დარგია. თეატრმცოდნეობას ჯერ კიდევ არ გამოუყვეთია თავისი მეცნიერული პროფილი. ჩვენ გვყავს არა ერთი ნიჭიერი კვალიფიციური თეატრმცოდნე, მაგრამ მაინც იშვიათად იბეჭდება მებრძოლი კრიტიკული სტატიები. სამაგიეროდ ხშირია უფერული, პროფესიონალიზმს მოკლებული, მხატვრულად სუსტი, მდარე ხარისხის რეცენზიები. სამწუხაროდ მომრავლდა თეატრის საქმისათვის უცხო ავტორების წერილები. ეს კი ხელს უშლის თეატრს, ხელს უშლის კრიტიკის განვითარებას.

იყო თეატრალური კრიტიკოსი დიდად პასუხსაგები საქმეა, აქ საჭიროა არა მარტო ფართო ერუდიცია, წერის კულტურა, არამედ დიდი პრინციპულობა და სიფაქიზე. ამის შე-

სახებ ამომწურავ პასუხს იძლევა ი. ჭავჭავაძე იგი წერს: „ვერაფერი ხელობაა თეატრის რეცენზენტობა. ბევრი ავი და კარგია ევრეთ-წოდებული სასცენო ხელოვნების მიმავლობაში და პატიოსნების სინდისი ავალებს რეცენზენტსა ერთი შეპნიშნოს და მეორეცა გულწრფელად, მიუდგომლად და დაუმალავად. სხვა გვარს რეცენზენტს საქმე ერთ კაცთან აქვს და ამიტომაც ადვილია გაუთამამდეს იმ წყრომასაც, თუ სიმართლე აიძულებს დაუწუნოს რამ... სულ სხვა ყოფაშია თეატრის რეცენზენტი. აქ ბევრი კაცია ხელს შესახები და სიმართლის სასწორზე ასაწონი“.

ასე განსაზღვრა ი. ჭავჭავაძემ თეატრალური კრიტიკის როლი და მნიშვნელობა. მან პირადი მაგალითი გვიჩვენა თუ რაოდენ დიდი სიყვარულით, რაოდენ დიდი პრინციპულობით უნდა ემსახურო შენ საქმეს.

ღრმა პროცესები ხდება თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებაში. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა თეატრალური ინტერესი. ჩვენს მასურებულს საშუალება აქვს ნახოს სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო თეატრები. ასე, რომ გაზრდილია მოთხოვნილებაც. ახლა უფრო მეტია შედარების, ჯანსაღი შეჯიბრის, პოლემიკის საფუძველი.

თეატრალური კრიტიკის უწმინდესი ვალია გაბედულად იბრძოლო დიდი რეალისტური, ღრმად ეროვნული თეატრალური კულტურისათვის.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ემზადება პლენუმისათვის, სადაც განხილული იქნება თეატრალური კრიტიკის საკითხები. ეს იქნება ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული პლენუმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პლენუმი ხელს შეუწყობს მებრძოლი თეატრალური კრიტიკის განვითარებას.



გაერთიანებული პლენუმი

1964 წლის 26 ოქტომბერს ქ. ბაქოში ჩატარებული ამიერკავკასიის თეატრალური საზოგადოებების გაერთიანებული პლენუმი, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამიერკავკასიის ხალხთა დიდ მეგობრობას. რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. იგი კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა საბჭოთა წყობილების დროს. მეგობრობის ამ ტრადიციამ მჭიდროდ შეაკავშირა ხელოვნების მუშაკებიც. პრაქტიკაში დამკვიდრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვანთა შეხვედრები, ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს, შეხედულებებს. იქმნება ნამდვილი მეგობრობის ატმოსფერო. ამ სულისკვეთებით შეიკრიბნენ სამი მოძმე რესპუბლიკის თეატრალური მოღვაწეები, რეჟისორები, მსახიობები, თეატრმცოდნეები. აქ იყვნენ აგრეთვე ბრესისა და კულტურის სხვა დარგის წარმომადგენლებიც.

პლენუმი გახსნა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. მარდანოვმა.

მან ილაპარაკა იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომელსაც პარტია და მთავრობა აყენებს თეატრალურ ხელოვნების წინაშე. რაც უფრო წინ მიდის და ვითარდება თეატრალური ხელოვნება, მით უფრო მეტად იზრდება რეჟისორის როლი. ვფიქრობ, ამიერკავკასიის II-გაერთიანებული პლენუმი, რომლის თემაა „რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობა“, სანტირესო მოვლენად იქცევა თეატრალური საზოგადოებრიობისათვის—განაცხადა მ. მარდანოვმა.

მოსენება თემაზე „რეჟისურა და მსახიობის ოსტატობა“ გააკეთა აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის მოადგილემ გიულერუჰ ალიბეკოვამ.

დღეს თეატრალური ხელოვნების წინაშე, დაიწყო მომხსენებელმა, დგას უდიდესი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ახალი აღმავლობის აღზრდასთან, ეს არის საბჭოთა

აღმავლობის საზოგადოების შემოქმედით. მოწინავე თეატრალური ხელოვნება ყოველ ეპოქაში იყო ხალხის სამსახურში, ყოველთვის ესწრაფოდა სიმართლით აესახა ცხოვრება. ეს ტრადიცია ორგანულად მიიღო საბჭოთა თეატრმა და განავითარა იგი. დღევანდელი დღის გაზრდილი მოთხოვნილებები განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს რეჟისურას. იყო დრო, როდესაც რეჟისორის მავიჯრობას სწევდნენ მსახიობები და დრამატურგები. მაგრამ მეოცე საუკუნეში ისე გაიზარდა მომთხოვნელობა, რომ შეიქმნა აუცილებლობა პროფესიონალი რეჟისორისა. ძველად იყო თეატრი შექსპირის, მოლიერის, გოლდონის, დღეს კი ჩვენ ვამბობთ სტანისლავსკის, ვახტანგოვის, მეიერჰოლდის, ზავადსკის, ოსტაპოვის, მარჯანიშვილის, ახმეტელის თეატრი. დიდია რეჟისორის როლი თეატრის ცხოვრებაში. საყოველთაოდ ცნობილია აკიმოვის როლი „ლენსოვეტის“ თეატრში, ისე, როგორც ტოვსტონოვოვის როლი ლენინგრადის მ. გორკის სახელობის დრამატული თეატრის შემოქმედებაში. დღეს რეჟისორი გახლავთ თეატრალური კოლექტივის იდეური და შემოქმედებითი ხელმძღვანელი და იგი თავის არსით არ შეიძლება არ იყოს ნოვატორი. ჩემი ფიქრით, —განაგრძო მომხსენებელმა, ერთ მოხსენებაში შეუძლებელია ვააშუქო ყველა ის რთული პრობლემა, რომელიც ასე მტიკიცდ არის დაკავშირებული რეჟისორისა და მსახიობის ოსტატობასთან.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა, რა თანამედროვეობაზე სიტყვა: ცნობილია, რომ ხელოვნებაში ყველაზე ძვირფასია თანამედროვეობის კონცეპტია. ამის გარეშე არ არსებობს ნამდვილი ხელოვნება, ნამდვილი ტალანტი. საბჭოთა თეატრისათვის, სიტყვა მ. ალიბეკოვმა რომელსაც გააჩნია მდიდარი რეალისტური ტრადიციები, უცხოა აბსტრაქტული და უაზრო ძიებანი, სცენაზე ყოველთვის მთავარი ადგილი უნდა ეკუთვნოდეს ადამიანს, დიდ იდე-

ებს. ღრმა აზრებს, რომელიც გამოხატავს საზოგადოების განვითარების ტენდენციებს. დადებითი გმირი, რომელიც ანსახორებს საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების იდეალია. მასში ორგანულად ერწყმის ტრადიცია და სიახლე. ეს უნდა იგრძნოს, ეს უნდა გამოხატოს რეჟისორმა მსახიობის საშუალებით. მხოლოდ მსახიობის საშუალებით შეუძლია რეჟისორს განახორციელოს თავისი იდეალები. თანამედროვე, ნიჭიერი მოაზროვნე მსახიობთა გარეშე არ აქვს აზრი რეჟისორულ ძიებებს. ამიტომ რეჟისორთა მთავარ პრობლემას დღეს წარმოადგენს ახალგაზრდა მსახიობთა „აღმოჩენის“ მათი დაოსტატების პრობლემა.

შეგხო რა ცალკეული თეატრების დადგმებს მომხსენებელმა სთქვა, — თელი ვულწრფელობით უნდა განვცხადოთ, რომ რეჟისურის პრობლემა, დღეისათვის რჩება მწკავე პრობლემად არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საერთოდაც. სსრკ კულტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 21—24 დეკემბერს ჩატაროს საკავშირო კონფერენცია მიმდინილი თანამედროვე რეჟისურის საკითხებისადმი, რომელიც ბევრ საინტერესო პრობლემათა დაყენებას და გადაწყვეტას გვიპირდება.

რეჟისურა ორგანულად არის დაკავშირებული არა მარტო მსახიობთან, — განაგრძობს მომხსენებელი, — არამედ მხატვრობასთანაც, რომლის როლიც სულ უფრო და უფრო იზრდება. დღეს მეტად რთული საკითხები დგას რეჟისურის წინაშე, რათა ამაღლდეს თეატრალური ხელოვნება თანამედროვეობის მომთხოვნელობის დონეზე. საჭიროა საერთო ძალა და არა ცალკეულ ადამიანთა მოღვაწეობა, რათა ამაღლდეს რეჟისორული მუშაობა, საჭიროა რაც შეიძლება ხშირად ჩატარდეს კონკურსები საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევარზე და საუკეთესო აქტიორულ შესრულებაზე.

თავის საინტერესო მოხსენების დასასრულს გ ალიბეოვამ სთქვა, — ცხოვრება გვიკარანახებს, რათა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის თეატრალურმა მოღვაწეებმა, კიდევ უფრო მეტად უნდა გავაღრმავოთ და განვამტკიცოთ ურთიერთკავშირი.

შემდეგ მოხსენება თემაზე: „რეჟისურა და მსახიობის ოსტატობა საქართველოში“ გააკეთა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ლორთქიფანიძემ. მან ილაპარაკა რა რეჟისურასა და მსახიობის ოსტატობის მთელ რიგ საჭირობოროტო საკითხებზე სთქვა: დღევანდელ

ლი პლენუმით თავის თემატიკით მეტად სერიოზული და აქტუალურია. რეჟისორმა და მსახიობმა უნდა აითვისონ ყველაზე საუკეთესო რაც მათი პროფესიის სფეროში შექმნილია არ უნდა დაუშვან უძრაობა ერთის მხრივ და ცრუ სიახლეთა გაცემა მეორეს მხრივ. ამ. ლორთქიფანიძე ვრცლად შეგხო რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობის საკითხს.

„რეჟისურა და მსახიობის ოსტატობა სომხეთში“ ასეთი იყო ს. არუთინიანის მოხსენების თემა.

მომხსენებათა დამთავრების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს: სსრკ სახალხო არტი-სტა და ავერტ ავეტიანიანა, საქართველოს სახალხო არტი-სტა დოღო ალექსიძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ეთერი გუგუშვილმა, აზერბაიჯანის, აზიზბეკოვის სახელობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ტოფიკ კაზიმიოვმა. სრულდა რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ი. სკაჩკოვმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დოღო ანთაძემ, პროფესორ რ. ტახმასიზმა, აზერბაიჯანის რუსული დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა ე. სახაროვმა, დრამატურგმა ა. არაკმონიანმა და პროფესორმა მ. მამედოვმა.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ეთ. გუგუშვილი თავის სიტყვაში თეატრალური ხელოვნების ბევრ საინტერესო პრობლემას შეგხო. სიტყვის დასასრულს მან სთქვა: „ხალხს სჭირდება თეატრი, დღი და აზრისა და ბრწყინვალე ოსტატობისა. ჩემი სურვილია მოუწოდო დღევანდელი დღის მონაწილე ყველა ხელოვნანთ რათა ვიბრძოლოთ ნამდვილი ამაღლებული ხელოვნების შესაქმნელად, არ დავუშვათ აზრის მოღუწება, არ დავუშვათ უფერული მოსაწყენი სპექტაკლები.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი ტოფიკ კაზიმიოვი, რომელმაც ილაპარაკა თეატრის შემოქმედებით საკითხებზე და სთქვა: აზიზბეკოვის სახ. დრამატული თეატრი, ამდღერებს თავის რიგებს სულ ახალახალი მსახიობებით, რომლებიც იძლევიან დიდ იმედს. მე ვფიქრობ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ასეთი საქმიანი შეხვედრა შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავებს და დიდ ნაყოფს მოუტანს ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას. ჩემს მხრივ დიდ მადლობას უცხადებ ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებების თავმჯდომარეებს,

რომლებმაც განახლეს ეს შემოქმედებითი კონტაქტი.

მეტად საინტერესო გამოვლენაში საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დოდო ალექსიძე შეეხო ბევრ პრობლემატურ საკითხებს და განსაკუთრებით ყურადღება გამამხვილდა ახალგაზრდობის აღზრდის საკითხზე, მისი აზრით ახალგაზრდა მსახიობებს კიდევ უფრო მეტად ფაქიზი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ თავიანთ პროფესიისადმი. ეს არის მეტად სერიოზული საკითხი და იგი საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. თანამედროვე ცნობილმა ფრანგმა რეჟისორმა ჟან ლუი ბარომ, ბრწყინვალე განსაზღვრა მისცა თეატრალურ ხელოვნებას. თეატრალური ხელოვნება არის ხელოვნება გამომდინარე ადამიანიდან და მხოლოდ ადამიანიდან, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სახელით. რა შესანიშნავად, რა ბრძნულად და ნათლად გამოხატავს ეს ფორმულირება თეატრალური ხელოვნების არსს. ასეთი ხელოვნება არასდროს მოკვდება. იგი მარადიული ხელოვნებაა, რომელიც ყოველთვის არსებობს და განვითარდება, სანამ არსებობს ბუნება და ადამიანი.

დოდო ალექსიძემ ილაპარაკა აგრეთვე რეჟისურაზე და სთქვა „რეჟისურა, როგორც პროფესია დაიბადა ჯერ კიდევ ანტიკურ თეატრში სხვადასხვა დროს რეჟისორებათ იყვნენ ცნობილი დრამატურგები ვოლტერი, მოლიერი, შექსპირი... ასეთ დიდ სახელებთანა დაკავშირებული რეჟისურა. რეჟისორი წარმოადგენს სპექტაკლის სულისჩამდგმელს, კოლექტივის აღმზრდელს, ყველაზე პასუხსაგებ პირს სპექტაკლისათვის. დღევანდელი

თათბირი ამიერკავკასიის რესპუბლიკებშია მიძღვნილია სპეციალურად რეჟისურისადმი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს თქმულს, რა გრანდიოზული მნიშვნელობა ენიჭება რეჟისურას თეატრალურ ხელოვნებაში.

კამათში მიიღო მონაწილეობა აგრეთვე სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ი. სიკარკოვა, რომელმაც სიტყვის დასასრულს განაცხადა:

თეატრალურ საზოგადოებათა მიზანია შექმნა საზოგადოებრივი აზრი ყოველი თეატრის გარშემო. დაეხმარონ თეატრებს მართალი და ბირთუვანილი, გულწრფელი რჩევით.

პლენუმის დასასრულს სიტყვით გამოვიდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სახალხო არტისტი დოდო ანთაძე. თავის გამოსვლაში დ. ანთაძემ აუწყა საზოგადოებრიობას, რომ თბილისში, ახლო მომავალში ჩატარდება ამიერკავკასიის მესამე პლენუმი თემაზე: „თეატრალური კრიტიკა“. აგრეთვე მე დიდი სიამოვნებით მხარს უჭერ იმ კონკრეტულ შემოქმედებით კონტაქტებს რომლის შესახებაც აქ იყო ლაპარაკი. საქართველოს თეატრალური საზოგადოება ყოველთვის ხელს შეუწყობს კონტაქტის გაძლიერების მიზნით გაიგზავნოს წარმომადგენლები ბაქოსა და ერევანში და თავის მხრივ სიამოვნებით მიიღებენ მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს თბილისში. ეს იქნება კარგი ღონისძიება.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპ. სახალხო არტისტმა მ. მარდანოვმა.



გამგზობის VII კლენუმი

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 1964 წლის 30 ნოემბერს, კულტურის სამინისტროსთან ერთად ჩაატარა თავისი მორიგი VII პლენუმი, რომელიც მიემდგვნა რესპუბლიკის სახალხო თეატრების მუშაობას.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა გამგეობის წევრმა, კულტურის მინისტრის მოადგილემ აკაკი დვალისვილიმ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად სერიოზული ყურადღება მიექცა სახალხო თეატრების საქმეს, რასაც დადებითთან ერთად მრავალი უარყოფითი მხარეც გააჩნია. ამიტომ მიმდინარე პლენუმი მოწოდებულია გარკვეული ანალიზი გაუკეთოს სახალხო თეატრების საქმიანობას და დასახოს შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოსწენებისათვის სიტყვა მიეცა თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძეს. მან თქვა:

„ამჟამად, ჩვენს რესპუბლიკაში 32 სახალხო თეატრია. ისინი რეალისტური ხელოვნების წინსვლის საქმეს ემსახურებიან. ეს რიცხვი საქართველოს ტერიტორიულ მოცულობისათვის მეტად დიდია და შეიძლება გადაჭარბებულადაც მეტი.

ამ თეატრების არსებობამ ძირითადში გაამართლა თავისი დანიშნულება. ბევრ თვითმოქმედ თეატრში ამაღლდა იდეურ-მხატვრული დონე. შეიქმნა მყარი, მტკიცედ ორგანიზებული კოლექტივები, მათში გაერთიანდნენ ნიჭიერი, გამოცდილი და ახალგაზრდა სცენისმოყვარენი. არა ერთი თეატრის მუშაობამ სისტემატური და გეგმიანი ხასიათი მიიღო. მოვიდნენ კვალიფიციური, პროფესიული თეატრალური მოღვაწენი, რომლებმაც კოლექტივები დააყენეს შედარებით უფრო მხატვრული, რეალისტური თეატრალური ხელოვნების სწორ გზაზე.

განსაკუთრებული ხაზგასმით ისაა აღსანიშნავი, რომ იმ სახალხო თეატრების გარკვე-

ულმა ნაწილმა მოიპოვა წარმატებები, რომლებსაც ყოველდღიურ დახმარებას უწევს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა პროფკავშირული ორგანიზაციები. ასეთ პირობებში სახალხო თეატრები შემოქმედებითად კარგად გამოიყურებიან.

როდესაც სახალხო თეატრების სპექტაკლებს ეცნობთ, ბუნებრივია, იზადება კითხვა, თუ როგორია მათი რეპერტუარი, რა პრობლემებს ეძებენ თეატრები, აქვთ თუ არა რაიმე შემოქმედებითი გამეზნულობა. მათ ვერ მოვხიზვით, რომ ისინი სავსებით დამაკმაყოფილებლად უპასუხებდნენ ამ კითხვას, მაგრამ სახალხო თეატრების სარეპერტუარო პოლიტიკის ზოგადი ტენდენცია მაინც დადებითად უნდა მივიჩნიოთ“.

შემდეგ მოხსენებული გადავიდა ცალკეული თეატრების შემოქმედებით ანალიზზე და აღნიშნა:

„ოსტატობისაკენ სწრაფვა, პროფესიული ჩვევების, აქტიორული სტილის დაუფლებისათვის ბრძოლის საიმედო ნიშანი იგრძნობა ბორჯომის, ონის, ველისციხის, ცხაკაიას, ცაგერის, სამტრედიის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, ლავოდეხის სახალხო თეატრების სპექტაკლებში. ამ თეატრებმა დაგეანახვეს სახალხო თეატრების რეალისტური ხელოვნების გზით სიარულის განუხრედი სურვილი და უდრეკი მისწრაფება ასახოს თანამედროვე ცხოვრება, დახატოს დადებითი გმირი, გვიჩვენოს მისი თავდადება და სიყვარული საქმისადმი. მართალია, შეიძლება ამ თეატრებს ზოგი რამ არ მოეუწონოთ, შეიძლება ვუსაყვედუროთ კიდევაც, რომ მათი ზოგი სპექტაკლი ბოლომდე საინტერესოდ განხორციელებული არ არის, მაგრამ მაყურებლისათვის უდავო გახდა, რომ მათ აქვთ არსებობის უფლება; აქვთ მისწრაფება, სიყვარული და რაც მთავარია რწმენა იმ საქმისადმი, რომელიც ხვალ კიდევ უფრო უკეთეს ნაყოფს გამოიღებს. ჩამოთვლილ თეატრებში

მოსაწონ საფეხურზე დგას ქართული ენის სიწმინდის საკითხი. მათ დიალექტების დაცვის სიმძიმის ცენტრი გადააქვთ ინტონაციასა და მელოდიკაზე, ასევე არ შეინიშნება ენობრივი ნატურალიზმის არა სასურველი გამოვლენები, რისი საშიშროებაც აქამდე ექვემდებარებოდა იყო.

აღნიშნულმა სახალხო თეატრებმა რესპუბლიკის მასშტაბით მოიპოვეს ავტორიტეტი და სიყვარული, მაგრამ არაა დასამალი, რომ ასეთი სახალხო თეატრების მრავალრიცხოვნობით ჩვენ დღეს არა ვართ განებივრებული.

არსებულ სახალხო თეატრებიდან დღეს მეტად ცუდად გამოიყურებიან ბოლნისის, რუსთავის, საგარეჯოს, ყვარლის, დუშეთის და გალის სახალხო თეატრები.

აღნიშნულმა თეატრებმა (გარდა ყვარლისა) მონაწილეობა ვერ მიიღეს კონკურსის პირველ ტურშიაც კი.

კონკურსის შემდეგაც უკვე 4 თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ მათ ჯერჯერობით ვერც ერთი ახალი სპექტაკლი ვერ დადგეს. ამრიგად, ჩვენ, საშუალება არ მოგვეცა გავცნობოდით ამ თეატრების შემოქმედებით საქმიანობას.

ეს ფაქტი თავისთავად შეტყვევებს, აღნიშნული სახალხო თეატრების სუსტად მუშაობაზე. ბოლნისის სახალხო თეატრში მესამე წელია სპექტაკლი არ დადგმულა, ასევე გალში. რუსთავის, საგარეჯოს და დუშეთის სახალხო თეატრებში მხოლოდ შეთხვევიდან შემთხვევამდე იდგმება პიესები. მათი სპექტაკლები ჩვეულებრივი დრამების სპექტაკლებს უფრო გავს, ვინემ თეატრისას. არ იქნება გაზვიადებული პირდაპირ თუ ვიტყვით, რომ ფაქტიურად ეს სახალხო თეატრები აღარ არსებობენ, მათ უკვე დიდი ხანია შეწყვიტეს მუშაობა.

რაშია საქმე, რატომ მოხდა ასე? იქნებ კულტურის სამინისტრო ან თეატრალური საზოგადოება დამნაშავე? არა.

ბოლნისის, რუსთავის და დუშეთის სახალხო თეატრებს 1959 წელს მიეცათ ერთდროული დანაშარება 10 ათასი მანეთი (ძველი კურისით) ბოლნისის სახალხო თეატრმა შემდეგ წელს ავტობუსიც კი მიიღო. ყველა თეატრს, რომელიც ახლა ჩამორჩენილთა რიგებშია სახელმწიფო თეატრებიდან ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა დეკორაციები, გრიფები, პარიკები, ტანსაცმელი და სხვადასხვა სასცენო მოწყობილობანი.

მათ აქვთ კეთილმოწყობილი შენობები. რაც საცესობით ნორმალურ პირობებს ქმნის

სახალხო თეატრის მუშაობისათვის. კულტურის სამინისტრომ ამ თეატრებში რამდენიმეჯერ გაგზავნა სამუშაოდ სხვადასხვა პროფესიონალი რეჟისორი. მათ ვალში არც თეატრალური საზოგადოება დარჩენილა. საზოგადოება პრაქტიკული დახმარების გასაწევად ხშირად აგზავნიდა კვალიფიციურ ბრიგადებს, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა.

მაშ რაშია საქმე, ვინ არის კონკრეტული დამნაშავე? პასუხი მხოლოდ ერთია: ამ თეატრებს მეტად სუსტ დახმარებას უწყვენ ადგილობრივი ორგანოები, თეატრები უყურადღებოთ არიან მიტოვებულნი. რა დახმარებაზე შეიძლება დაპარაკი, როცა ბოლნისის სახალხო თეატრში (და არა მარტო სახალხო თეატრში, მთლიანად კულტურის სახლში) სამი წელია ჩაშლილია მუშაობა, რეჟისორი ხუთჯერ შეიცვალა და თეატრს საქმოდ მორბდელი თანხაც ვალად აწევს, მაგრამ ეს გარემოება არც ერთხელ არ გამხდარა მსუელობის საგად. ყველაფერი ეს მათ თვალწინ ხდება, მაგრამ არავის აღელვებს იგი. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა დუშეთშიაც და საგარეჯოშიაც.

განა დიდი ილია ჭაჭკაძის და კოტე მარჯანიშვილის სამშობლოში სახალხო თეატრი არ უნდა გაშენდეს? ანდა კიდევ ვინ იტყვის იმას, რომ შუა ქართლში, ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის სამშობლოში, რომლის სახელსაც ბოლნისის სახალხო თეატრი ატარებს, საჭირო არ არის ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი კერა. ავიღოთ თუ გნებავთ ვალე. მთელ აფხაზეთში ერთად ერთი სახალხო თეატრი გვაქვს და შეიძლება ითქვას, რომ ისიც უკვე აღარ არსებობს. ვფიქრობ ამ მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

ზოგიერთი სახალხო თეატრი კულტურული მომსახურების მიზნით, გამოდის საშეფო სპექტაკლებით და კონცერტებს მართავს შორეულ და მეზობელ სოფლებში, კოლმეურნეობებში გამოდის ღია ცის ქვეშ, მინდვრად მწყეხსებთან და სხვა. იმის გამო, რომ ტექნიკური შესაძლებლობა სპექტაკლის მოთიანად დადგმის საშუალებას არ იძლევა, მყურებლის წინაშე წარსდგებიან ხოლმე სხვადასხვა პიესების ცალკეული სცენების დადგმათ. ნაწყვეტების ან მონოლოგების კითხვით. ყველაფერი ეს არ იძლევა მთლიან წარმოდგენას პიესის შესახებ და მყურებლისათვის იგი გაუგებარი რჩება. სახალხო თეატრების ასეთი „სალამო-კონცერტები“ სამართლიან საყვე-

დურს იწვევს მაყურებელში. ისინი არაფერს იძლევიან გარდა იმისა, რომ სახელს უტეხენ შემოქმედებითად კარგი მონაცემების მქონე სახალხო თეატრებს.

სახალხო თეატრებს დიდძალი თანხა ეხარჯება გრიძის და პარიკის გაკეთებაში. უმეტეს შემთხვევაში ეს თეატრები ყოველ წარმოდგენისათვის თეატრებიდან ქირაობენ გრიძისთვის, ეს კი საკმაოდ მოზრდილ ხარჯებს იწვევს, რაც მიმე ტვირთად აწევა სახალხო თეატრის ბიუჯეტს. ამის მიზეზი მარტო ის როდია, რომ სახალხო თეატრებს არ ყოფნით გრიძები ან პარიკები. არა, საქმე იმაშია, რომ მათ არ ჰყავთ ისეთი მუშაკი, რომელმაც კარვად იცის გრიძის საქმე.

თეატრების მუშაობაში უარყოფით გავლენას ახდენს კადრების დენადობა. ამ მდგომარეობას იხივ უწყობს ხელს, რომ ადგილობრივი ორგანოები, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებები თვითნებურად ანთავის-სუფლებენ ან ნიშნავენ სახალხო თეატრის რეჟისორებსა და მხატვრებს. სახალხო თეატრის რეჟისორი და მხატვარი კულტურის სამინისტროს ნომენკლატურული მუშაკია. მხოლოდ სამინისტროს აქვს მათი დანიშვნისა და განთავისუფლების უფლება.

საჭიროა მეტი გულისხმიერება სახალხო თეატრებისათვის კადრების შერჩევაში. არ უნდა გავაუბრალოვით მათი დანიშვნა და განთავისუფლება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყველა სახალხო თეატრმა ვერ გაამართლა გათვალისწინებული მოთხოვნები. მაყურებელი, სოფლის იქნება იგი თუ ქალაქის აღარ იძლევა შედეგათებს. ისინი მოითხოვენ სრულფასოვან სპექტაკლებს, მაგრამ სამწუხაროდ ეს მაყურებელი არც თუ იშვიათად, იმედგაცრუებულნი რჩება.

ზოგი სახალხო თეატრის წარუმატებლობის შემთხვევაში ჩვენ ხშირად, მიზეზებს მივაწერთ იმ გარემოებასაც, რომ თვით ამ თეატრებმა სათანადოდ ვერ გამოიყენეს კულტურის სამინისტროსა და პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შექმნილი პირობები. რა თქმა უნდა ასეთი მიზეზები როდია გამორიცხული, მაგრამ ვერც კულტურის სამინისტროები, ვერც ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლები და ვერც თეატრალური საზოგადოებები ვერაფერს გახდებიან, თუ სახალხო თეატრებს ყოველდღიური მზრუნველობა ვერ გაუწიეს და ყურადღება არ მიაქციეს ადგილობრივმა ორგანოებმა.

მხოლოდ და მხოლოდ მათი გულისხმიერი დამოკიდებულება და ერთობლივ კოლექტიური მუშაობა მოგვცემს სასურველ შედეგს.

საკითხავია: გვეჭირდება თუ არა ამდენი სახალხო თეატრი? ანდა საჭიროა თუ არა მხატვრულად უსუსურმა სახალხო თეატრმა მაინც განაგრძოს თავისი საცოდავი არსებობა? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არა. რაოდენობით გატაცების პატივმოყვარულმა გარძნობამ დაგვაფიქსა ის მაღალმომთხოვნელობა, რომელსაც შემოქმედებაში უყენებენ თეატრალურ ხელოვნებას რა ფორმისა და დანიშნულებისაც არ უნდა იყოს იგი.

სახალხო თეატრში გაცილებით უფრო ძნელია პიესის დადგმა ვიდრე პროფესიულ თეატრში. ცნობილია, თუ რა კონტიკენტთან გვაქვს საქმე. დღის მუშაობით დაღლილი მუშა მოდის რეპეტიციაზე. იგი უნდა გამოეთიშოს დილის საქმიანობას და ჩაერთოს სპექტაკლის სფეროში, ზოგჯერ მსახიობები ვერ ცხადდებიან დროზე, ვერ ასწრებენ როლების დასწავლას, მაგრამ, როგორც ვთქვით სახალხო თეატრშიც უნდა სუფევდეს პროფესიული თეატრალური ორგანიზმის დისციპლინა. ამ განმარტებაში თითქოს არაფერი ახალი არ არის, მაგრამ ხომ ხედავთ, თუ როგორ ძნელია მისი რეალიზაცია.

სახალხო თეატრებმაც უნდა იმუშაონ გეგმიანად, ე. ი. დანიშნულ ვადაში უნდა იქნეს გამოშვებული პრემიერები, დაგეგმილი რაოდენობა წარმოდგენებისა უნდა ეჩვენოს მაყურებელს. მაღალმხატვრულმა რეპერტუარმა უნდა უზრუნველყოს მოიხიდა, ე. ი. საფინანსო გეგმის შესრულება და სხვა.

როგორ უნდა აეწყოს ამ რთული ორგანიზმის მუშაობა ასე რიტმულად, როდესაც მისი ყოველი წევრი თავისი ძირითადი შრომითი მიღწევაში დამოკიდებულია სხვა ორგანიზაციაზე, სადაც ის მუშაობს. ეს იწვევს სახალხო თეატრში თითოეულ როლზე ორი და სამი შემსრულებლის მომზადებას. აუცილებელი ხდება სახალხო თეატრის მსახიობების გადაყვანა ერთ ცვლაში (ძირითად სამუშაოზე). მათთვის ერთსა და იმავე დროს შვებულების მიცემა და სხვა უამრავი ორგანიზაციული ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს ამ რთული თეატრალური მექანიზმის ყოველ დეტალურ შემადგენელ მუშაობას. ამას იხივ შეუწყობს ხელს, თუ სახალხო თეატრის რეჟისორი ზოგჯერ არ დაივიწყებს თვითშემოქმედების სპეციფიკას და მოერიდება სამუშაო რეჟიმის მეტის მეტად

გადატვირთვას, მართალია ჩვენ გვყავს მძლავრი, მილიონერი კომუნურნიები, რომლებიც სახალხო თეატრებს მუშაობის ნორმალურ პირობებს უქმნიან, მსახიობებს ეხმარებიან ყოველმხრივ, მაგრამ იმ ხალხს მოწყვეტაც კი სამუშაოდან ყოველთვის მეტად ძნელია და ქმნის ბევრ უხერხულობებს.

სახალხო თეატრების შემოქმედებითად ნაყოფიერ მუშაობას, ისე როგორც ყოველი საქმის წარმატებას, კადრები ვანაპირობებენ.

იმ თეატრების შემქმნის პირველ დიდღანვე ჩვენი რესპუბლიკის კულტურის და ინჟინტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კადრების შერჩევას. ცდილობდა სახალხო თეატრების რეჟისორები და მხატვრები ყოფილიყვნენ კვალიფიციური, გამოცდილი მუშაკები. ასეთი კადრები მართლაც შეირჩა. მათ თავიდანვე აუღეს ალღო სახალხო თეატრების თავისებურებებს, თვითმოქმედებას და სწორად წარმართეს მისი მუშაობა. დღეს უკვე მათ მიერ შექმნილმა სპექტაკლებმა ძირითადად მოწონება და აღიარება მიიპოვეს მაყურებელში, ასეთია რეჟისორების გ. ჯაფარიძის, გ. ხმალაძის, მ. ჯალაღანის, დ. ტაბიძის, ტ. ხაჭაღლიას, ბ. კიკაჩიშვილის, გრ. მდიენის, ალ. ყაზაროვის, ვლ. მგელაძის, ა. ნირვანოვის, ალ. კულუაძის, ვ. წულაძის, ა. ავეტისიანის, კ. გაბუნდაძის სპექტაკლები. მათი რეჟისორობითა შექმნილმა სცენიურმა ნაწარმოებებმა ავტორიტეტი გაუზარდეს სახალხო თეატრებს.

ნაჩვენებ სპექტაკლებში შემოქმედებითად კარგად გამოჩნდა უფროსი თაობა, რომელიც არა მარტო უკლის და ინახავს სახალხო თეატრების ტრადიციას, არამედ ავითარებს კიდევაც მას. ისეთი მსახიობები, როგორებიც არიან გ. ჯაფარიძე, მ. ლურსმანაშვილი, კ. მდივანი, გ. იოსებაშვილი, ვ. ფხაკაძე, ზ. სიხარულიძე, გ. მგელაძე, თ. მახარაძე, ბაშინჯალიძე, ა. ერქვანიძე, თ. ხარაბაძე, არ. სიგუა, დ. ჩიჩუა, გ. ჩიქოვაძე, მ. გოგოსაშვილი, ვ. თანდალაშვილი, დ. ტაბიძე, ტ. ურუშაძე, ბ. არჩაია, შ. შარვაძე, ვ. ერემაძე, მ. მესხი, ო. ზედელაშვილი, ე. ღორიაშვილი და სხვები სპექტაკლებში თავიანთი ნიჭიერებით და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით ქმნიან მოსაწონ აქტიორულ სახეებს. მათ თავი დაგვამახსოვრეს შესრულების რეალისტური მანერით და გულწრფელობით.

როგორც დასაწყისში ავღნიშნეთ უკვე ხუთ წელი გავიდა სახალხო თეატრების ფორმირებიდან და უკვე დროა კრიტიკულად გადავსინჯოთ მათი სია.

ვიმსჯელოთ იმაზე თუ რა უშლის ხელს სახალხო თეატრებს. შეიძლება დადგა დრო იმისა, რომ დადგინდეს გავრთიანდენ შემოქმედებითი ძალის მქონე თეატრები ერთი რომელიმე ხელმძღვანელ დაწესებულების მეთვალყურეობაში, რომელიც გამოიძულებს საერთო მეთოდს ჭეშმარიტი სახალხო თეატრების არსებობისათვის.

თუ არ განმტკიცდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუ არ მოეწყობა ამ თეატრებისათვის ცენტრალიზირებული მომარაგება სადადგომ საშუალებებით, მაშინ ვეღარ იარსებებენ ის სახალხო თეატრებიც კი, რომლებმაც ასე გმირულად მოიტანეს დღეს თავიანთი მაღალი შემოქმედება. გვჯერა, რომ ხალხს, რომლისთვისაც ხელოვნება გადაქცეულია მეორე ძირითად პროფესიად, მოაქვს არა მარტო თავისი დიდი, დაუშრეტელი ნიჭი და უნარი, არა მარტო უსაზღვრო სიყვარული ხელოვნებისადმი, არამედ ცხოვრების მდღაერი გამოცდილებაც, რომელიც მას კიდევ უკეთესი მერმისისათვის სჭირდება, მაგრამ როგორ კარგადაც არ უნდა შევფასოთ მათი მიღწევა ერთი რამ მაინც უდავოა, რომ შემდეგი მათი წინსვლა მოითხოვს კიდევ მეტ შრომას და ნებისყოფას იმ ნაკლოვანებათა გადასალახავად, რომელიც ყოველთვის თან სდევს კეთილსა და დიდ საქმეს.

მოსწენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 14 ამახანგამ.


დრამატურგმა სიმონ მთეარაძემ თავისი გამოცხადება მიუძღვნა ორჯონიძის, ხულოს და ველისციხის სახალხო თეატრების სპექტაკლების შეფასებას. მან მალე შეფასება მისცა ველისციხელების ნამუშევარს.

თეატრმცოდნე მ. ცხომარიაძე პლენუმის ყურადღება შეაჩერა სიღნაღისა და გურჯაანის სახალხო თეატრებზე.

სახალხო თეატრების რეპერტუარის საკითხს და დრამატურგის მდგომარეობას შეეხო თეატრმცოდნე ე. კიკნაძე.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პავლე ფრანგიშვილმა გააკრიტიკა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო თეატრის სპექტაკლი „უტუ მიტკა“, დააყენა საკითხი სახალხო თეატრების რეჟისორობისა და მხატვრების ხელფასის საკითხი.

დრამატურგმა აკ. დევიძემ ილაპარაკა იმ სიძნელეებზე რაც ხელს უშლის სახალხო თეატრებს. წინადადება შემოიტანა, რათა საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში მომავალში გათვალისწინებული იქნეს




სახალხო თეატრების მუშაკების წევრებად მიღება.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ თავის გამოსვლის დიდი ნაწილი დაუთმო ქართული სახალხო თეატრების დიდსა და ძვირფას ტრადიციებს.

დასახელებული ამხანაგების გარდა კამათში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რექ. გ. ჯაფარიძემ (ამბროლაური), სამტრედიის კულტურის სახლის დირექტორმა ჩიგოვიძემ, თბილისის ლენინის რაიონის სახალხო თეატრის დირექტორმა ვაშაძემ, საქ. კულტურის სამინი-

სტროს კულტ-საგანმანათლებლო სამმართველოს უფროსმა ა. კალანდარაშვილმა, სახალხო არტისტმა ვ. ნინიძემ, სახალხო თეატრის ხელმძღვანელმა ციციშვილმა, თეატრმცოდნე ე. კვიციანიამ და საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ გ. იაკაშვილმა.

დასასრულს ბლენუმმა აირჩია ღონისძიებების შემმუშავებელი კომისია გ. იაკაშვილის, ა. კალანდარიშვილის, ნ. შვანგირაძის, გ. ჯაფარიძის, პ. ფრანგიშვილის, ვაშაძის და აკ. დევიძის შემადგენლობით.





თეატრალური საზოგადოება ეწვია სოხუმის თეატრს

სოხუმის სახელმწიფო თეატრი ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოს თეატრებს შორის. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ადგილობრივი მაცურებელი საკმაოდ მომთხოვნია და ამას გარდა სოხუმი საუკეთესო საკურორტო ქალაქია და აქ დასასვენებლად ჩამოდიან მშრომელები საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებიდან და კუთხიდან რომლებიც სადამოიბით თეატრს ეტანებიან. ამრიგად ჩამოსული ხალხი სოხუმის თეატრის სპექტაკლებით უცნობა ქართულ და აფხაზურ თეატრალურ კულტურას და ხელოვნებას.

სოხუმის თეატრს კარგი წარსული აქვს. ქართულ თეატრში ამ ბოლო ათეულ წლების მანძილზე უმუშავნიათ ისეთ ცნობილ რეჟისორებს როგორც ვ. ყუშიტაშვილი, ს. ჭელიძე, გ. ჟურული და სხვა. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია სოხუმის თეატრმა სერგო ჭელიძის რეჟისორობის პერიოდში და შექმნა ბევრი შესანიშნავი სპექტაკლები.

მიმდინარე სეზონის დასაწყისიდან ქართული თეატრის ხელმძღვანელად მიწვეულია ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დამდგმელ რეჟისორად. წელს სოხუმის თეატრში მიწვეულნი არიან ქართული თეატრის გამორჩენილი მსახიობები თამარ ჭავჭავაძე და ნინო ლაფაჩი, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით დიდად შეუწყობენ ხელს თეატრის წინსვლას.

სოხუმის თეატრს დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორც საქართველოს კულტურის სამინისტრო და საქართველოს თეატრალური საზოგადოება, აგრეთვე აფხაზეთის კულტურის სამინისტრო და საერთოდ ხელმძღვანელი ორგანიზაციები.

1964 წლის 30 ოქტომბერს სოხუმის თეატრში ახალი სეზონის გახსნის წინ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ და აფხაზე

თის მწერალთა კავშირმა სოხუმის თეატრის ხელმძღვანელობასთან ერთად მოაწყვეს მაცურებელთა შეხვედრა, რომ დამსწრეთათვის წინასწარ გაეცნოთ თეატრის ორივე სექტორის სარეპერტუარო და საერთო სამუშაო გეგმები, მოეხმინათ მაცურებელთა შენიშვნები და დაესახათ გზები თეატრის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ სოხუმში მიაგვლინა ბრიგადა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის რესპ. სახალხო არტისტი დოდო ანთაძის ხელმძღვანელობით. ბრიგადაში შედიოდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები თამარ ჭავჭავაძე, ნინო ლაფაჩი, საქ. მწერალთა კავშირის დრამსექციის თავმჯდომარე დრამატურგი მის. მრეველიშვილი, სახალხო არტისტები დიმ. მჭედლიძე, ვ. ნინიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე. შეხვედრას დიდი ძალი ხალხი დაესწრო. შეხვედრა გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დოდო ანთაძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ შეხვედრის მიზნები და ამოცანები, რის შემდეგაც სოხუმის თეატრის მომავალი გეგმების შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ორივე კოლექტივის ხელმძღვანელები ა. ქუთათელაძე და ბ. ჯოჭაუა. კამათში გამოვიდნენ: დოცენტი ზუზუბაი, დრამატურგი შ. ჭკადუა, სტუდენტი ა. გოცირიძე. ახალგაზრდა პოეტი გ. კალანდია, სტუდენტი ი. ზუზუბა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა, დიმ. მჭედლიძე, ვ. ა. ნინიძე, დ. ჩხეიძე და დრამატურგი მ. მრეველიშვილი. კამათში გამოსულმა ამახანაგებმა აღნიშნეს, რომ სოხუმის ქართულ თეატრში ადგილი აქვს მსახიობთა დენაფლას, ინსტიტუტ დამთავრებულნი თითო-ოროლა წელიწადს წამომუშავენ სოხუმის თეატრში, „მომავრდებიან“ და შემდეგ გადადიან რესპუბლიკის სხვა თეატრებში რაც ხელს უშლის თეატრის მუშაობას. აღინიშნა, რომ თეატრის რეპერტუარში ცოტაა თანამედროვე

პიესები. დადებითად შეფასდა გრ. აბაშიძის პიესის „მოგზაურობა სამ დროში“ დადგმა. ხაზგასმით ითქვა, რომ ძალიან ცოტა იწერება ადგილობრივ გაზეთებში კრიტიკული ხასიათის წერილები თეატრის დადგმებზე, აღინიშნა, რომ ქართულმა თეატრმა უნდა შეიტანოს რეპერტუარში აფხაზური პიესები, — და პირიქით. აზრი გამოითქვა, რომ ასეთი შეხვედრები გადაიქცეს ტრადიციად.

სდომის მუშაობა შეაჯამა დ. ანთაძემ. უდიდესი აღტაცებით შეხვდა მაყურებლებით გაჭედული დარბაზი დოდო ანთაძის განცხადებას, რომ სოხუმის ქართულ თეატრში მიმდინარე სეზონში იმუშავენ თამარ ჭავჭავაძე და ნინო ლაფაჩი.

იმავე წლის 1 ნოემბერს თეატრალურ საზოგადოების ბრიგადა მიწვეულ იქნა ოჩამჩირის რაიონის სოფ. კოჩარაში კოლმეურნეებთან შესახვედრად. იმ დღეებში სოხუმში საგანტროლოდ იმყოფებოდა ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით არსებული მოცეკვავეთა ანსამბლი, ამით ვისარგებლეთ და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილიც თეატრალურ საზოგადოების ბრიგადასთან ერთად გაემგზავრენ სოფ. კოჩარაში.

სოფ. კოჩარა გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზი სოფელია, — იგი თავის შრომის ნაყოფიერებით მოწინავე და სახელგანთქმულია ოჩამჩირის რაიონში.

სოფელი მშენებრივად არის მოწყობილი სხვა კულტურულ და საკოლმეურნეო დაწესებულებებთან ერთად. სოფელს აშენებენ მშენებრივად მოწყობილი 500 ადგილიანი დარბაზი და მშენებელი კულტურის სახლი, რომლის დარბაზიც კოლმეურნეებით სავსე დაგვხვდა.

კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გოგუამ. მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. გიზისკირია, რომელმაც შეკრებულთ გააცნო სტუმრები და აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების მოღვაწეთა ახლო ურთიერთობას საკოლმეურნეო დოვლათის შემქმნელ მშრომელებთან. მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე დ. ანთაძე, რომელმაც აღნიშნა თეატრისა და მაყურებელთა ურთიერთ კულტურულ კავშირის დიდი მნიშვნელობა.

შემდეგ დამსწრეთ ვრცლად ესაუბრა ი. სუხიშვილი მოცეკვავეთა ანსამბლის საზღვარგარეთ ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ. მწერალთა და კოლმეურნეთა კულტურულ ურთიერთობაზე ილაპარაკა დრამატურგმა მის. მრეკლიშვილმა და ხაზი გაუსვა, რომ კოჩარა მოწინავე კოლმეურნეობაა და მან უნდა პპოვოს თავისი ადგილი ჩვენს ლიტერატურაში. დამსწრეთა აღტაცება გამოიწვია თამარ ჭავჭავაძემ, რომელიც გულთბილად მიესალმა შეკრებულთ და მათ პატივსაცემად წაიკითხა ლადო ასათიანის ლექსი „სალალოზი“. სიტყვებით გამოვიდნენ ნ. ლაფაჩი, დ. მჭედლიძე, ვ. ა. ნინიძე და შ. აკობია. სტუმრებს სიტყვით მიმართა ადგილობრივმა პედაგოგმა გ. აკობიამ. ბოლოს სტუმრებს მადლობა გადაუხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გოგუამ. დასასრულ ადგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი.

ფრიად სასარგებლო საქმე გააკეთა საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ, ვინაიდან ასეთ დონისძიებებს დიდი სარგებლობა მოაქვს მოსახლეობაში თეატრალური ხელოვნებისა და კულტურის საკითხების პროპაგანდის საქმეში.



ა. წერეთლის სახელობის ჰიათურის სახელმწიფო თეატრი წლების განმავლობაში დიდ მუშაობას აწარმოებს რაიონის მშრომელთა მხატვრული მომსახურების საქმეში.

თეატრი სარგებლობს სათანადო ავტორიტეტითა და მხარდაჭერით, როგორც თავის, ისე მეზობელ რაიონების მშრომელთა შორის.

თეატრის დასი ძირითადად დაკომპლექტებულია ნიჭიერი და გამოცდილი მსახიობებით, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა აღიარება მოიპოვა არა მარტო რაიონის მასშტაბით, არამედ მიეღო რესპუბლიკაში. გრიგოლ ტყაბლაძით, მიხეილ ვაშაძით იამაყებდა ყველა თეატრი; ეს წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც განსაზღვრავს თეატრის შემოქმედებით წარმატებას, აამაღლებს მის სცენიურ ოსტატობის დონეს და უქმნის საიმედო პერსპექტივას ახალგაზრდა მსახიობთა პროფესიულ დაოსტატებაში. ასეთი შემოქმედებითი კოლექტივი საფუძველს აძლევს თეატრს სარეპერტუარო ცხოვრება უფრო ფართოდ გაშლის უფრო თამამად მოჰკიდოს ხელი კლასიკურ მემკვიდრეობასაც და თანამედროვეობის ამსახველ დიდ ტილოებს, რომლებიც გამოირჩევიან იდეურობითა და აქტუალობით, მაღალი ემოციურობითა და მახვილი სცენიური ფორმებით.

აქვე უნდა ითქვას, რომ თეატრს მართლაც აქვს გარკვეული წარმატებანი, არის ერთგვარი ძიებაც, აქვს გარკვეული მხატვრული დონე, და, როგორც უკვე ითქვა, სარგებლობს კიდევ მაყურებელთა ინტერესითა და მხარდაჭერით. სწორედ ასეთი სპექტაკლებია: „ჯარისკაცის ქვრივი“, „მოპარული ბედნიერება“, „ჩემი შვილი სიმონი“ და სხვ. სადაც გამოჩნდა თეატრის მაღალი პოტენციური შესაძლებლობანი, რეჟისორული და აქტიორული წარმატებანი.

ჰიათურის თეატრი, რომელსაც რეალისტური ხელოვნების დიდი ტრადიცია აქვს თავის რეპერტუარში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ქართულ ორიგინალურ დრამატურგიას. ამასთან ერთად ყურადღების გარეშე არ სტოვებს მოძმე ხალხების საუკეთესო ნაწარმოებებსაც.

მიმდინარე სეზონში თეატრმა დადგა ი. ფრანკოს „მოპარული ბედნიერება“ (რეჟ. ვ. სუბისკვერაძე) ეს არის მართალი, აქტიორულად და რეჟისორულად საინტერესო სპექტაკლი. აქ ჩანს თეატრის კარგი პროფესიული დონე, მისი ძალა შექმნას მდიდარი გრძნობებისა და იდეების ნაწარმოებები. სწორედ ამიტომ მეტი მოთხოვნაა თეატრს, ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ უკანასკნელ სეზონში დადგმულ სპექტაკლებს, ნათლად დავინახავთ, რომ თეატრი არც თუ ისე ხშირად გვიჩვენებს ახალ, ძლიერ აქტიორულ სახეებს, იშვიათად გამოირჩევიან სპექტაკლები რეჟისორული სიღრმითა და გონებამახვილური გამომგონებლობით. ზოგჯერ ეს განპირობებულია იმითაც, რომ თეატრი თვითნებურად და გაუმართლებლად ცვლის სარეპერტუარო გეგმას და წარმოებაში უშეშებს იდეურად და მხატვრულად დაჩაივებული, უსახურსა და უღირსი პიესებს. ასე მაგალითად, შარშანდელ სეზონში თეატრმა დადგა ნ. ნიკოლაძის „ბურუსიანი დღეები“, რომელიც მოკლებულია ჩვენი ცხოვრების ასახვის პათოსს და წარმოადგენს ლიტერატურულ და სცენიურ უმწიფობას. ასევე გაუმართლებელი იყო აშშ-ში დავის სენტიმენტალური მდორე გემოვნების პიესის „ვიდრე ცოცხლები ვართ“ — დადგმა.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ თეატრს ჰყავს ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი, ძლიერი აქტიორული ბირთვი, რომელზედაც დაყრდნობით მას შეუძლია კარგი კლასიკური და თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები განახორციელოს, მაგრამ სამწუხაროდ თეატრის ხელმძღვანელმა ვერ ახერხებს ამ ნიჭიერ აქტიორების მაქსიმალურად გამოყენებას. იმასთან დაკავშირებით, რომ მსახიობ გ. ტყაბლაძეს კინო-ფილმებში იღებენ, ამ ორი წლის განმავლობაში იგი ძალიან იშვიათად თუ გამოდის სცენაზე, ხოლო თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში ხომ სულაც ვერ იღებს მონაწილეობას.

თეატრში არადაამაყოფილებლად დგას ახალგაზრდა მსახიობთა მიზიდვის საქმე. წლების მანძილზე დასი არ იცვება სპეცია-

ლური განათლების მქონე ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთა კადრებით, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თეატრალური ინსტიტუტიდან ჭიათურის თეატრში განაწილებული იყო მხოლოდ სამი მსახიობი, რომელთაგან არც ერთი არ გამოცხადებულა თეატრში, აღნიშნული მსახიობები თბილისის თეატრებში მოეწყვენ. ეს არის მეტად ჩამაფიქრებელი მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია ჭიათურის თეატრის მომავალთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის დასში უმაღლესი სპეციალური განათლებით მხოლოდ სამი მსახიობია, რომელთაგან ყველაზე ახალგაზრდა 34—35 წლისაა. თეატრის ხელმძღვანელობა საჭირო ყურადღებას ვერ უთმობდა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს და როგორცა სჩანს სათანადოდ არ ზრუნავდა მსახიობთა საყოფა-

ცხოვრებო პირობებზე. ამის შედეგია მსახიობთა დიდი დენადობა, რაც, თავის მხრივ ხელს უშლის თეატრის ნორმალურ მუშაობას.

ცალკე უნდა აღინიშნოს დეკორატიული მხატვრობის საკითხი. სამწუხაროდ, თეატრმა ვერ შესძლო ნიჭიერ მხატვართა მიზიდვა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საინტერესო სპექტაკლების შექმნას. ახლანდელი მდგომარეობა კი არადაამაკაყოფილებელია.

ყველა ამ საკითხებზე, თეატრთა მტკივნეულ პრობლემებზე ილაპარაკეს თავიანთ სიტყვებში ჭიათურის თეატრის კოლექტივთან შეხვედრის დროს ნ. შვანგირაძემ, ვ. კიკნაძემ, ნ. კეელიშვილმა და სხვებმა, რომლებიც სპეციალურად იყვნენ მივლინებულნი ჭიათურის თეატრში.



კოტე მარჯანიშვილი მთაწმინდაზე!

1964 წლის 24 ნოემბერია, დღის 2 საათი. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში მრავალრიცხოვან ხალხს მოუყვრია თავი. აქ არიან თეატრის მოღვაწეები, მწერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია 1933 წლიდან, აქ ამ ბაღში დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილისა და დიდ მსახიობის ვანო სარაჯიშვილის საფლავების გვერდით განისვენებდა კოტე მარჯანიშვილის ფერფლიც. და აი დღეს კოტეს ფერფლი მთაწმინდის პანთეონში უნდა გადასვენდეს, იქ, სადაც განისვენებენ ჩვენი დიდი მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვასო აბაშიძე, დავით ერისთავი, შალვა დადიანი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვანი.

სრულ ორ საათზე დაიძრა ხალხი. მარჯანიშვილის ვაჟი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილი და კოტეს მოწაფეები— ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, დ. ანთაძე, ვ. გომიანიშვილი, საქ. სსრ კულტურის მინისტრი ამხ. თ. ბუაჩიძე და სხვები რიგრიგობით მიდიან კომპლექსთან, სადაც დადგმულია კოტე მარჯანიშვილის ფერფლი. კოტეს ვაჟს და დ. ანთა-

ძეს ფერფლი გამოაქვთ და მანქანისაკენ მიემართებიან, მათ მიჰყვება პროცესია.

მთაწმინდაზე ბევრ ხალხს მოუყვრია თავი. მიტინგი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპ. სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, რომელმაც მოკლედ დაახასიათა დიდი ქართველი რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობა და მისი ღვაწლი ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების საქმეში.

შემდეგ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამხ. თ. ბუაჩიძე, რომელიც ლაპარაკობს კოტე მარჯანიშვილის მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოღვაწეობაზე საქართველოში, კერძოდ ქართულ საოპერო და თეატრალურ ხელოვნებაში და აგრეთვე კინემატოგრაფიაში.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან კოტე მარჯანიშვილის მოწაფეები და მეგობრები სსრკ სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, კრიტიკოსი ბ. ჟღენტე, რესპ. სახ. არტისტი თ. ჭავჭავაძე და სხვები. ბოლოს სიტყვას ამბობს ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას განსვენებული მამის ასეთი პატივისცემისათვის.

შალვა დადიანის დაბადების 90 წლისთავი

1964 წლის 13 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების ინიციატივით აღინიშნა გამოჩენილი ქართველი მწერლის, თეატრალური და

საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის დაბადების 90 წლისთავი.

დღის 2 საათზე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონ-

ში, შალვა დადიანის საფლავზე მოხდა ძეგლის გახსნა. საზეიმო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მიხედვითაა. ჭილაიამ, „ხუთი წლის წინად, აღნიშნა მან—მადლიერად ქართველმა ხალხმა აქ, მთაწმინდის მიწას მიაბარა შალვა დადიანის ნეშტი, რითაც ქართველმა ხალხმა მაღალი შეფასება მისცა იმ ღვაწლსა და შრომას, რომელსაც იგი ეწეოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე, როგორც მწერალი და თეატრალური მოღვაწე“.

სიტყვით გამოსულმა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ანთაძემ ხაზი გაუსვა იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მიუძღოდნა შალვა დადიანს ქართული თეატრის წინაშე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. გოძიაშვილმა შ. დადიანს მე-19 და მე-20 საუკუნის თეატრისა და მწერლობის გამაერთიანებელი ხედი უწოდა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე.

პოეტმა აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ ძეგლს თეთრი ტილო ჩამოხსნა. ძეგლი დიდი გემოვნებით, ლაკონიურ ფორმებითაა შესრულებული და წარმოადგენს შავი მოკრიალეებზე გრანიტის ფილას, რომელზედაც გამოკვეთილია შ. დადიანის ბრინჯაოს ბარელიეფი, მწერლის ავტორადი, დაბადების და გარდაცვალების თარიღები. (ძეგლის ავტორია არქიტექტორი კ. ნახუცრიშვილი, ბარელიეფისა კი მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი).

იმავე დღეს, რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მოეწყო შალვა დადიანის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ. მან მაღალი შეფასება მისცა შ. დადიანის პიროვნებასა და შემოქმედებას და აღნიშნა, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე არ მოიძებნება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომ მას მონაწილეობა არ მიეძღოს.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა კრიტიკოს ბ. ჟღერტის, რომელმაც ვრცელად ილაპარაკა მწერლის დიდ ღვაწლზე. მომხსენებელმა აღნიშნა: „მარტო ის ფაქტი, რომ შალვა დადიანი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს, ნიშნავს იმას, რომ ის ჩარიცხულია ქართული კულტურის კორიფეთა შორის. ი. ჭავჭავაძის,

ა. წერეთლის, ა. ყაზბეგთან ურთიერთობაში აღზრდილი, ის თითქმის ორმოცი წლის მანძილზე ჩვენს თანამედროვე მწერლობაში იღვწოდა. ვასული საუკუნეების ტრადიციებზე აღზრდილი, ის თითქმის აერთებდა ორი საუკუნის სულსა და გონებას. მისი რომანი „ვიორგი რუსი“ მის სხვა ნაწარმოებებთან ერთად სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დიდი შენაძენია.“

შ. დადიანის შემოქმედების მთავარი ასპარეზი მაინც თეატრი იყო. 20-ან წლებში მან დაწერა „კაკალ გულში“—ერთი პირველი კომედია საბჭოთა დრამატურგიაში; მანვე მოგვცა ტრაგედიის აღდგენის ცდა („თეთნულდი“), რომელშიც აღწერილია ჩვენს ეპოქაში ძველისა და ახლის შეხლის მძაფრი, რეალისტური სურათები. ამით შ. დადიანმა გვიჩვენა, რომ სოციალისტური რეალიზმისათვის შესაძლებელი ყოფილა ყოველი ჯანრის ნაწარმოების შექმნა, 30-ან წლებში თეთნულდი აქრმადაროვოვს ჰიმნი იმ დიდი ძეგლებისა, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ხდებოდა ახალი სოციალისტური სისტემის შესაქმნელად.

40-მდე ბიესა ეკუთვნის შ. დადიანის კალამს. მათ შორის ბერია ისეთი, რომელიც დღემდე მჩრჩუნებენ იდეურ-ესთეტიკურ ჟღერას. მისი შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს დიდი პერიოკული დრამა „ნაპერწყლიდან“, სადაც აისახა მუშათა კლასის ბრძოლა თავისუფლებისათვის. „დადულაღა, ჩემო უქანცა-კი-ასეთი წავიდა ის—ამბობს დასასრულს კრიტიკოსი,—და ასეთივე ცოცხლობს ჩვენი ხალხის, მისი მკითხველის გულში“.

სიტყვაში გამოსულმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ სთქვა: „ქართველი არტისტი, მისი ელემენტური კავალერი, შალვა დადიანი იყო ცოცხალი, განუყოფელი მაგალითი ქართველი ვაჟაკის, რაინდის, ინტელიგენტი მოღვაწისა. იგი იყო ახლავარდობის შესანიშნავი აღმზრდელი“.

სომეხმა მწერალმა ა. აგინამა დიდი შეფასება მისცა შალვა დადიანის შემოქმედებას, ამიერკავკასიის ხალხთა საყვარელი მწერალი უწოდა და დამსწრე საზოგადოებას მიუთხრო, თუ როგორი აღტაცებით ხვდებოდნენ ყოველთვის შალვა დადიანის გამოსვლას სომეხთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ანთაძემ ხაზი გაუსვა იმ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის შ. დადიანს საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნასა და ჩამოყალიბებაში.

64827



სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ აგრეთვე სსრკ სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, მწერალი-აკადემიკოსი კ. გამსახურდია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ნინიძე და კრიტიკოსი გ. ციციშვილი. პოეტმა ალ. ბეგაშვილმა წაიკითხა შალვა დადიანისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: რესპუბლი-

კის დამსახურებულმა არტისტმა თ. ბაქრაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა დებმა იშხნელებმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტიმა აკ. ვასაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა გრ. ნაცვლიშვილმა და დ. ჩხეიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გურ. საღარაძემ, შ. კიკნაძემ და სხვებმა.

დავით და ვიქტორ გამყრელიძეების ხსოვნის საღამო

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და თელავის სახელმწიფო თეატრმა 1964 წლის 21 დეკემბერს თელავის თეატრში ჩატარეს ღვაწლმოსილი ძმების ქართული თეატრის დიდი მოამბეების დავით და ვიქტორ გამყრელიძეების დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ გ. იაკაშვილმა. თელავის სახელმწიფო თეატრში ჩატარებული საღამო ამ ორი შესანიშნავი მოქალაქისა და ხელოვნების შემოქმედებითი ცხოვრების გულწრფელი შეფასება იყო.

დავით გამყრელიძის (აწყურელის) შემოქმედებაზე შინაარსიანი მოხსენება გააკეთა თეატრმცოდნე სერგო გერსამიაშ.

ვიქტორ გამყრელიძის უბადლო ხელოვნებაზე და პიროვნებაზე დამსწრეთ ესაუბრება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით ჩხეიძე.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ც. ამირეჯიბი, პ. ფრანგიშვილი და შ. ხონელი. თელავის თეატრის უხუცესი მსახიობი ნაპოლეონი. დავით აწყურელის აღზრდილი ნ. კონსტანტინაძე და სხვები.

დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია თელავის საბაქთო მოქა-

ლაქის ქეთევან იაშვილის გამოჩენამ, რომელმაც გულთბილ სიტყვასთან ერთად შესანიშნავი საჩუქარი, მხატვარ ელენე ახვლედიანის სურათი „ბოდბის მონასტერი“ გადასცა თავის მიერ ფუძე ჩაყრილ სამხატვრო გალერეას.

დავით და ვიქტორ გამყრელიძეების ხსოვნის საღამოს ესწრებოდნენ მათი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და უახლოესი ნათესავები, მათ გულმხურვალე მადლობა გადაუხადეს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, თელავის კოლექტივს, რაიონის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებას, რომლებმაც ასე სიყვარულით შეინახეს ღირსეული შვილების ხსოვნა.

დასასრულს წარმოდგენილ იქნა სცენები ა. ცაგარელის კომედიებიდან „ციმბირელი“ და „ხანუმა“, რომელშიაც მონაწილეობდნენ თელავის თეატრის მსახიობები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. ბურბულაშვილი, ვ. ჩელთისპირელი, ა. კუბაძაძე, მსახიობები ლალაშვილი, ნ. არავიაშვილი, გ. მამუჩიშვილი, ლ. მარკოზაშვილი, ბ. მარტიაშვილი, ე. მოსეშვილი, დ. მდიენიშვილი და გ. პაპოშვილი.

ღღისით თბილისიდან ჩასული სტუმრები და თელავის თეატრის კოლექტივი გავიდა სასაფლაოზე სადაც დაკრძალულია დავით აწყურელი.



აწ. პირველ ნომებერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელოვნების მუშაკთა სახლმა მოაწყო რესპ. სახ. არტისტის ალექსანდრა თოიძის შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპ. სახელხო არტისტმა დ. ანთაძემ.

— რამდენიმე ათეული წლის მანძილზე— ამბობს ამხ. დოდო ანთაძე, რუსთაველის თეატრის სცენაზე წაყოფიერად მოღვაწეობდა ჩვენი სახელოვანი მსახიობი რესპ. სახ. არტისტი ალექსანდრა თოიძე. ამ ხნის მანძილზე მან განასახიერა 40-მდე მხატვრული სახე. მან მოღვაწეობა დაიწყო კინოში. მუხჯი სურათით „ძინა-ძაძუ“ სადაც იგი სვანი ქალის როლს ასრულებდა. ამას მოჰყვა ქართველი დედის სახე კინოფილმ „ქალაქში შესვლა არ შეიძლება“. შემდეგ ნინო ჭავჭავაძის როლი „მოგზაურობა ზურუმში“ და მრავალი სხვა. ამრიგად, ალექსანდრა თოიძე ხელოვნებას პირველად ეკრანის საშუალებით ეზიარა. შემდეგ, 1937 წლიდან იგი მუშაობდა იწყებს რუსთაველის სახელობის თეატრში.

ალექსანდრა თოიძის შემოქმედებაში თავიდანვე ყურადღებას იპყრობდა დიდი შრომის-მოყვარეობა და მომთხზვნელობა საკუთარი თავისადმი.

დიდი კულტურის მქონე მსახიობი მიღწეულით არასდროს არ კმაყოფილდებოდა და ახალ როლს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ბევრს მუშაობდა სახის შექმნაზე და თავისი უშუალოებით, მომხიბვლელობით და სილამაზით მუდამ მაყურებლის მოწონებას იმსახურებდა.

სურენ აფხიანის შემოქმედებითი საღამო

მიმდინარე წლის 23 ნომებერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შაუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხურ თეატრთან ერთად აღნიშნა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სურენ აფხიანის დაბადებიდან 60 და სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავი.

ა. თოიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველ ქალთა სახეებს. ალ. სუმბათაშვილ-იუჯინის „ღალატში“, ოთარბეგის ასული, დ. ერისთავის „სამშობლოში“ შაჰის ასული, ალ. თოძისათვის ყველაზე საყვარელი სახე ეკატერინე ჭავჭავაძე — მ. მრეკელიშვილის „ბარათა-შვილში“.

ასევე დიდი პასუხისმგებლობით და მისთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით ასრულებდა იგი სხვა ეროვნების ქალთა სახეებს და სახის გახსნისას ცდილობდა შეენარჩუნებია ემოქისა და სახისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თვისებები.

მას განსაკუთრებით ახასიათებდა სექტაკის ანსამბლთან შერწყმის არაჩვეულებრივი უნარი.

საბჭოთა რეალისტურ ტრადიციაზე აღზრდილი შემოქმედის ალექსანდრა თოიძის შემოქმედებითი საღამო გამოხატულდება იმ დიდი მადლიერების გრძობისა, რომელსაც ქართველი მაღალკემოვნებიანი და მომთხზვნი მაყურებელი მიუძღვნის ღირსეულ შვილს.

საღამოზე მისალმებუბითა და სიტყვებით გამოვიდნენ: სსრკ სახ. არტისტი ვ. ანჯაფარიძე, რესპ. სახ. არტისტი ნ. ბურმისტროვა, რესპ. დამს. არტ. ბ. ზაქარიაძე მწერალი ს. ჭილაია, მსახიობი რ. თავართქილაძე, კინორეჟისორი კ. გოგოძე, თეატრმცოდნე ნ. შვანგიაძე, რესპ. სახ. არტისტი თ. ბაქრაძე, ნ. მესხი, ვ. შიოშვილი და სხვა.

საღამო დამთავრდა მხატვრული განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო იუბილარმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ამხ. ბ. ქლენტმა, რომელმაც აღნიშნა სურენ აფხიანის დიდი დამსახურება ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთ ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში, განსაკუთრებით კი თეატრალურ ხელოვნების დარგში, რომელსაც

არა ერთი ბიესა აქვს თარგმნილი ქართული-დან სომხურად, ხოლო სომხურიდან ქართულად და რომლებიც წარმატებით იდგმება ორივე რესპუბლიკის სცენებზე.

შემდეგ ვრცელი მოხსენებით სურენ ავჩიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვიდა მწერალი ივ. დავითიანი.

— ქართული და სომხური ლიტერატურული და თეატრალური საზოგადოება კარგად იცნობს სურენ ავჩიანს,—განაცხადა მომხსენებელმა,—მას იცნობენ, როგორც ნიჭიერ მწერალს, პოეტს, დრამატურგს, მთარგმნელსა და მკვლევარს.

არიან ადამიანები,—დასძინა ამხ. დავითიანმა,—რომლებიც ჩუმად და უხმაუროდ ეწევიან დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას, ცხოვრობენ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით. ს. ავჩიანი სწორედ ერთი ასეთი მუშა ფუტკარია ჩვენს მწერლობაში. საკმარისია ხელთ აიღოთ ავჩიანის ლიტერატურული შრომის სია, რომ დარწმუნდეთ რა ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა.

სურენ ავჩიანის კალამს ეკუთვნის 125-ზე მეტი ბიესა, მოთხრობა, ნოველა, ლექსი, პოემა მონოგრაფია, გამოკვლევა და სტატია. ს. ავჩიანმა თავისი მადლიანი კალმით სომეხ მწერომულ ხალხს გააცნო კლასიკოსების—

ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ნ. ბარათაშვილის და აგრეთვე თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები: „სტალი“ ასევე ქართველ მწერომულებს მიაწოდეს სურენის მწერლების ა. აბოვიანის, ო. თუმანიანის, ალ. შერვან-ზადეს, ისაკიანისა და სხვათა ნაწარმოებები.

მიტკიცედ დამკვიდრდა სომხურ სცენაზე ავჩიანის ისეთი ბიესები, როგორცაა „სოსი და ვარდიერი“, „ქოროლი“, „საიათნოვა“, „ბელ-ბული“ და სხვა მრავალი მცირე ფორმის ბიესა, რომლებიც წარმატებით იდგმება სახალხო თეატრებისა და საკლუბო სცენებზე.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ აკად. გ. ლეონიძე, რესპ. სახ. არტისტი დ. გულაზიანი (ერევანი) დ. ანთაძე, მ. ასლანიანი, ვ. ნინიძე (კულტ. მუშაკთა პროფკავშირი), ბ. სვირანიანი, დ. ჭიჭინაძე (მარჯანიშვილის თეატრი); ელ. საყვარელიძე (რუსთაველის სახ. თეატრი), გ. გვერდუთელი (ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი). ა. ხარატიანი (სახელმწიფო უნივერსიტეტი), რ. აკოფოვი, ი. ნონეშვილი და სხვა.

საღამო დამთავრდა მხატვრული განყოფილებით, რომელშიაც წარმოდგენილი იქნა სცენები ს. ავჩიანის ბიესებიდან.

მხატვარ-დამორატორის შალვა ჟორჟოლაძის

შემოქმედებითი საღამო

28 დეკემბერს მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის შენობაში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მოაწყეს მხატვარ-დეკორატორის შალვა ჟორჟოლაძის დაბადებიდან 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. საღამო გახსნა თეატრალური საზოგადოების თავ-რემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ. მხატვარ შალვა ჟორჟოლაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი დიმიტრი თავაძე.

მომხსენებელი ვრცლად შეხეხა რა შალვა ჟორჟოლაძის დამსახურებას მოზარდი თაობის

ესთეტიკურად აღზრდის საქმეში, აღნიშნა, რომ მომავალი მხატვარი ბავშობიდანვე გაიტაცა სცენამ—მსახიობად დაიწყო მუშაობა ჯერ ქუთაისის რკინიგზის კლუბთან ასრულებს სახალხო თეატრში, შემდეგ კი ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრში. შალვა ჟორჟოლაძე აქტიურობასთან ერთად მხატვარ-დეკორატორის მოვალეობასაც ასრულებდა. შემდეგში შალვა ჟორჟოლაძემ სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ხოლო მისი დამთავრების მერე სექტაკლებს აფორმებდა რესპუბლიკის სხვადასხვა სახელმწიფო და სახალხო თეატრებში.

1948 წლიდან შალვა ჟორჟოლაძე მუშაობას იწყებს მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში მხატვარ-დამდგმელის

თანამდებობაზე და ამავე თეატრში აფორმებს სამოცზე მეტ სპექტაკლს. სწორედ ამიტომ მხატვრის შემოქმედება მთლიანად უკავშირდება აღნიშნული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას. ამ თეატრის სცენაზე შალვა ჟორჯოლაძე აფორმებს ისეთ საეტაპო სპექტაკლებს, როგორებიცაა „ბაში აჩუკი“, „ნაცარქექია“, „ოჯახი“, „რევოლუციის სახელით“, „ბორის ძნელაძე“, „ცეცხლის ხაზზე“ და სხვა.

მისივე გაფორმებულია „გაქვავებული ქალაქი“, „ორი კაპიტანი“, „მარსელელი ბიჭები“, „სინდისის ქისა“, „ლურჯა“, „ბრაზილიის საუნჯე“, „კოჭლი მეწისქვილე“ და სხვა მრავალი.

1956 წ. ქ. მოსკოვში მოწყობილი გასტროლების დროს სპექტაკლ „ბორის ძნელაძის“ დეკორატიულმა მხარემ მაღალი შეფასება დაიმსახურა და მხატვარს საკავშირო ალკ სიგელით და ფულით აჯილდოვებენ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შალვა ჟორჯოლაძის მოღვაწეობა არ შემოიფარგლება თეატრებით: იგი ეწევა პედაგოგიურ მუშაო-

ბას მოსე თოიძის სახელობის პროფტექნიკურ № 11 სამხატვრო სასწავლებელში თეატრალურ-დეკორატორთა ჯგუფს ხელმძღვანელობს, ხშირად მონაწილეობს მხატვართა კავშირის ხაზით მოწყობილ გამოფენებში, არის თეატრალური საზოგადოების აქტიური წევრი.

მოზარდ მაცურებელთა ქართული თეატრის მხატვარს შალვა ჟორჯოლაძეს მიესალმნენ და კვლავ შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს: ფალიაშვილის სახელობის ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის სახელობის, მუსიკალური კომედიის, მოზარდ მაცურებელთა რუსული, თოჯინების ქართული, შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრების, მოსე თოიძის სახელობის პროფტექნიკური № 11 სასწავლებლის, მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების კომიტეტის, თბილისის სკოლების, გორკის სახელობის და რკინიგზის კულტურის სახლების წარმომადგენლებმა.

სალამოს დასასრულს გაიმართა დიდი თეატრალიზირებული კონცერტი.


საქართველოს თეატრალური საზოგადოების ხაზით გარდა მოამბის ამ ნომერში ჩამოთვლილი ღონისძიებებისა ჩატარდა აგრეთვე შემდეგი სახის ლექცია-მოსხენებები და დათვალ-იერებები.

სახალხო თეატრების შემოქმედებითი მუშაობისადმი მიძღვნილ პლენუმთან დაკავშირებით განხილულ იქნა შემდეგი სახალხო თეატრების სპექტაკლები: ცხაკაიაში — „ხევისბერი გოჩა“, „ქამთაბურის ასული“; სამტრედიის რაიონისა „საცოლის მაძიებელი“, რკინიგზის თეატრი „მრუდე კიბე“, სიღნაღის „მიცვალებული იძულებით“, გურჯაანის — „ჩემი შვილი სიმონი“, გორკის სახელობის (თბილისი) „ჩვენი ახალგაზრდობა“, ვაჭრობის მუშაკთა კავშირის — „ხუთი გული“, რკინიგზის — „სასჯელის შიშით“, ლენინის რაიონის — „უტუ მიქავა“ და სხვა. დამთვალეირებელ ბრიგადაში შედიოდნენ — დრამატურგი აკ. დევიძე, თეატრმცოდნეები ნ. შვანგირაძე და მ. ცხო-მარია, გარდა ამისა 10 ნომბრიდან 15 დეკემბრამდე გამოჩენილი რუსი მსახიობი ქალის ვერა კომისარჟევსკაიას დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით თბილისის თეატრებსა და წარმოება-დაწესებულებებში ჩატარდა ლექცია მოხსენებები: ასე მაგალითად თეატრმცოდნე ტ. იაშვილმა მოხსენება თემაზე „ვ. კომისარჟევსკაია საქართველოში“ წაიკითხა თეატრალურ ინსტიტუტში და რადიო კომიტეტში. „ვ. კომისარჟევსკაიას ცხოვრება და შემოქმედება“ თე-

ატრმცოდნე ე. გალუსტოვამ წაიკითხა თბილისის სომხურ, გრიბოედოვის სახელობისა და მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრებში, ლ. გუგუნავამ — მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, სოლო ლ. ლომთათიძემ — ხელოვნების მუშაკთა სახლის აქტივზე, ფოტოცინკოგრაფიისა და თეატრალურ საზოგადოების სტამბის კოლექტივში.

გარდა ამისა ჩატარდა ასეთი ღონისძიება „ერთი დღე თბილისის თეატრებში“, სადაც ნანახი იქნა სპექტაკლები „ჭინჭრაქა“ რუსთაველის თეატრში, „თამაში ჭვავის ყანაში“ — მარჯანიშვილის თეატრში, „კარმენი“ — თბილისის თეატრში, „მელია და ყურძენი“ — გრიბოედოვის სახ. თეატრში, „პატიოსნებისათვის“ — სომხურ თეატრში, „დედინაცვალი“ — მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, და „ცირუს“ — სანკულტურის თეატრში. აღნიშნულ სპექტაკლების დათვალეირებაში მონაწილეობა მიიღეს გ. ციციშვილმა, მ. გიციშვილმა, ც. ყიფიანმა, ან. წულუკიძემ, ნ. გურაბანიძემ, ეთ. გუგუშვილმა, ნ. შვანგირაძემ, ს. აგჩიანმა, პ. ფრანგიშვილმა, მ. კვალაიაშვილმა, თ. თარხნიშვილმა, ლ. ხუციშვილმა, ს. ჭელიძემ და ვ. ქართველიშვილმა.

გარდა ამისა მოეწყო თბილისის თეატრების აქტივის შეხვედრა იუგოსლავიის დრამატული არტისტული საზოგადოების გენერალურ მდივან იოჟა რუტიჩთან და მის თანმხლებ-სსრ კავშირის მოსკოვის „გოქისის“ წარმომადგენელ თედორე იაკოვლეტთან.



КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

За боевую театральную критику.

О высокой культуре и традициях грузинского советского театра, которые должны изучаться театральной критикой. О недостаточности принципиальных критических статей, о

частых случаях публикации непрофессиональных статей. О сложности театральной критики, о выросших требованиях современного зрителя к театру.

Объединенный пленум Театральных Обществ Закавказья

Об исторической дружбе народов Закавказья. О состоявшемся 26 октября 1964 г. в г. Баку объединенном пленуме Театральных Обществ Закавказья по вопросу „Мастерство актера и режиссера“. Докладчик Г. Алибекова. Основные проблемы — воспитание нового человека, возросшие требования зрителя, роль режиссуры в современном театре, чувство нового, связь традиции с современностью.

Пленум заслушал еще два доклада — Г. Лорджкпанидзе „Режиссура и актерское мастерство Грузии“ и С. Арутюняна „Режиссура и актерское мастерство Армении“. В прениях приняли участие: А. Аветисян, Д. Алексидзе, Э. Гугушвили, Т. Казымов, И. Скачков, Д. Антадзе, Р. Тахмасиб, Е. Сахаров, А. Аракмянян, М. Мамедов.

VII пленум правления Театрального Общества Грузии

30 ноября 1964 года состоялся пленум Театрального Общества совместно с Министерством культуры Груз. ССР, посвященный творчеству народных театров республики. После вступительного слова заместителя министра культуры ГССР А. Двалишвили о творчестве народных театров Грузии, докладывала театровед Н. Швангирадзе. Оценив репертуар, в целом, положительно и проанализировав творческую практику отдельных театров, докладчик указал и на недостатки, рассказал об условиях работы народ-

ных театров, о помощи, которую систематически оказывает им Театральное Общество Грузии.

Театровед М. Цохмария докладывает о работе сигнальского и гурджаанского народных театров. В. Кикнадзе — о репертуаре народных театров.

В прениях приняли участие: П. Прангвили, Ак. Девидзе, А. Васадзе, Г. Цхапаридзе, Чигогидзе, Вашадзе, А. Каландарашвили, В. Никидзе, Цицишвили, Е. Квирквелия, Г. Якашвили.

Театральное Общество посетило сухумский театр

О значении сухумского театра, об его традициях, о пополнении его кадрами опытных актеров и режиссеров.

Встреча театра со зрителем состоялась 30 октября 1964 г. К этому дню Театральное Общество направило в Сухуми творческую бригаду в составе: Т. Чавчавадзе, Н. Лапачи, М. Мревлишвили, Ц. Мчедлидзе, В. Нинидзе, Д. Чхеидзе—во главе с представителем

президиума Груз. Театрального Общества Ц. Антадзе. Участники конференции говорили о необходимости увеличения количества и качества пьес на современную тему, о текучести творческих кадров, о низком профессиональном уровне театральной критики.

1 ноября творческая бригада Грузинского Театрального Общества встретилась с колхозниками села Кочара.

Зрительская конференция в чиатурском театре.

Участники конференции говорили о высоком творческом уровне чиатурского театра, об его славных традициях, о репертуарных недостатках, о недостаточной интенсивности использования актерских сил, о плотном

пополнении театра молодыми кадрами, о низком уровне художественного оформления спектаклей.

В прениях принимали участие: Н. Швангирадзе, В. Кикнадзе, Н. Кевлишвили.

Юбилей и творческие вечера.

К. Марджанишвили на Мтацминда.

24 ноября 1964 г. в 2 ч. дня урна К. А. Марджанишвили была перенесена в пантеон выдающихся деятелей на Мтацминда. Митинг открыл председатель президиума Театрального Общества Д. Антадзе. Затем выступили

министр культуры Т. Буачидзе, ученики и друзья К. А. Марджанишвили: В. Анджапаридзе, Т. Чавчавадзе, В. Жгенти и сын Марджанишвили проф. К. К. Марджанишвили.

90-летие со дня рождения Ш. Дадiani

13 декабря 1964 г. Союз Писателей и Театральное Общество Грузии отметили 90-летие со дня рождения выдающегося грузинского писателя, театрального и общественного деятеля Ш. Дадiani.

В 2 ч. дня состоялось торжественное открытие памятника Ш. Дадiani в пантеоне на Мтацминда. Выступали С. Чилал, Д. Антадзе, Г. Джигладзе, Ир. Абашидзе снял покрывало с памятника.

Вечером в Малом зале театра им. Ру斯塔вели состоялся вечер памяти Ш. Дадiani. Со вступительным словом выступил министр культуры Грузии Т. Буачидзе, с докладом В. Жгенти, с воспоминаниями: А. Васадзе, С. Авчян, Д. Антадзе, В. Анджапаридзе, Г. Цицишвили.

Во втором отделении состоялся концерт.

Вечер памяти Давида и Виктора Гамкрелидзе.

Театральное Общество Грузии и Телавский гос. театр 21 декабря 1964 г. в помещении Телавского театра устроили вечер, посвященный 100-летию со дня рождения выдающихся деятелей грузинского театра Давида и Виктора Гамкрелидзе. Вечер открыл зам. председателя Президиума Театрального

Общества Г. Якашвили. Доклад о жизни и деятельности Д. Гамкрелидзе прочел С. Герсамия, о жизни и деятельности В. Гамкрелидзе — Д. Чхеидзе. С воспоминаниями выступили: П. Амирэджиби, П. Прангвишвили, Ш. Хонели и др.

Творческий вечер Александры Тоидзе.

1 ноября Театральное Общество Грузии и Дом Работников Искусств устроили творческий вечер А. Тоидзе. О творчестве А. Тоидзе говорил председатель Президиума Театрального

Общества Д. Антадзе. С приветствиями выступили: В. Анджапаридзе, Н. Бурмиштрова, Б. Закариадзе, Т. Бакрадзе, С. Чилая, К. Гогобзе, Н. Швангирадзе и др.

Творческий вечер Сурена Авчяна.

23 ноября 1964 г. в помещении тбилисского армянского театра им. Шаумяна Театральное Общество Грузии и армянский театр отметили 60-летие со дня рождения и 40-летие творческой деятельности писателя и общественного деятеля С. Авчяна.

Вечер открыл В. Жгенти. О жизни и творчестве докладывал И. Давтян. С приветствиями выступили: Г. Леонидзе, Д. Гулакян, В. Нинидзе, Д. Чичинадзе, Ел. Сакварелидзе, Г. Гвердцители, А. Харатян, Р. Акопов, И. Нонешвили и др.

Творческий вечер художника-декоратора Ш. Жоржоладзе.

28 декабря 1964 г. в здании грузинского Театра Юного Зрителя Театральное Общество Грузии и Грузинский ТЮЗ устроили вечер, посвященный 50-летию со дня рождения и 30-летию творческой деятельности художника декоратора Ш. Жоржоладзе.

Вечер кратким вступлением открыл Д. Антадзе. О жизни и творчестве Ш. Жоржоладзе докладывал Д. Тавадзе. С приветствиями выступили представители театров и других организаций. В заключении состоялся концерт.

Деятельность Театрального Общества Грузии за IV квартал 1964 г.

Кроме уже указанных в вестнике мероприятий, Театральным Обществом Грузии были проведены лекции-доклады и смотры. В связи с пленумом, посвященным творчеству народных театров, обсуждались спектакли народных театров Тбилиси и районов республики. С 10 по 15 декабря в связи со 100-летием со дня рождения В. Ф. Комиссаржевской в театрах и

предприятиях Тбилиси были проведены лекции о жизни и творчестве великой актрисы.

Было проведено мероприятие „Один день в театрах Тбилиси“, а также встреча актива тбилисских театров с генеральным секретарем Артистического общества Югославии Иожем Рутичем и сопровождающим его тов. Ф. Яковлевым.

შ ი ნ ა ა რ ს ი

33

მებრძოლი თეატრალური კრიტიკისათვის	3
ამიერკავკასიის თეატრალური საზოგადოებების გაერთიანებული პლენუმი	4
საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის VII პლენუმი	7
მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ თ ა კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ე ბ ი	
თეატრალური საზოგადოება ეწვია სოხუმის თეატრს	12
მაცურებელთა კონფერენცია ჭიათურის თეატრში	14
ი უ ბ ი ლ ე დ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ს ა ლ ა მ ო ე ბ ი	
კოტე მარჯანიშვილი მთაწმინდაზე!	16
შალვა დადიანის 90 წლისთავი	16
დავით და ვიქტორ გამყრელიძეების ხსოვნის საღამო	18
ალექსანდრა თოიძის შემოქმედებითი საღამო	19
სურენ ავიანიის შემოქმედებითი საღამო	19
მხატვარ-დეკორატორის შალვა ჟორჯოლაძის შემოქმედებითი საღამო	20
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა 1964 წლის IV კვარტალში	22



О Г Л А В Л Е Н И Е

	стр.
За боевую театральную критику	3
Обединенный пленум Театральных Обществ Закавказья	4
VII пленум правления Театрального Общества Грузии	7
З р и т е л ь с к и е к о н ф е р е н ц и и	
Театральное общество посетило Сухумский театр	12
Зрительская конференция в Чиатурском театре	14
Ю б и л е и и т в о р ч е с к и е в е ч е р а	
К. Марджанишвили на Мтацминда	16
90-летие со дня рождения Ш. Дадияни	16
Вечер памяти Давида и Виктора Гамквелидзе	18
Творческий вечер Александры Тоидзе	19
Творческий вечер Сурена Авчяна	19
Творческий вечер художника-декоратора Ш Жоржоладзе	20
Деятельность Театрального Общества Грузии за IV квартал 1964 г.	22



НА ПРАВАХ РУКОПИСИ

Т О Г
В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)

Тбилиси—1964

№ 4 (29)

ფასი 16 კაპ.
Цена 16 коп.

გადაეცა წარმოებას 20/II 1965 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV 1965 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 1,75

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა, თბილისი, გორკის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

Заказ 557

УЭ 06671

Тираж 200

44.27/39.



საქართველოს
ხელმოწერილი